



N 7, 2021


კლინიკური ონკოლოგია

CLINICAL ONCOLOGY

(სპეციალური გამოცემა)

ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო
დახმარების სახელმძღვანელო COVID - 19
პანდემიის პირობებში

A S C O



ISSN 2346-7592

სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი

კლინიკური ონკოლოგია

(სპეციალური გამოცემა)

N 7 2021

SCIENTIFIC – PRACTICAL JOURNAL

CLINICAL ONCOLOGY

(Special edition)

რედაქტორი:

პროფ. რემა ღვამიჩავა

სამეც. ხელმძღვანელი:

პროფ. კონსტანტინე მარდალეიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

რ. ღვამიჩავა, კ. მარდალეიშვილი, ბ. მოსიძე

სარედაქციო საბჭო:

ი. აბესაძე (საქართველო)	ჯ. ალიევი (აზერბეიჯანი)	გ. ამბარცუმანი (სომხეთი)
გ. ბურკაძე (საქართველო)	ზ. ვადაჭკორია (საქართველო)	დ. ზარიძე (რუსეთი)
ფ. თოდუა (საქართველო)	დ. თაბაგარი (საქართველო)	ბ. სურგულაძე (კანადა)
ვ. კუჭავა (საქართველო)	ა. ალიევი (აზერბაიჯანი)	მ. შავდია (საქართველო)
ნ. შარიქაძე (საქართველო)	ა. შენგელაია (საქართველო)	თ. ჩარკვიანი (საქართველო)
გ. ციხისელი (საქართველო)	მ. ჰარისონი (ა.შ.შ.)	

ჟურნალი “ კლინიკური ონკოლოგია“ შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოების მიერ, სადისერტაციო მასალების პუბლიკაციისათვის .რეკომენდირებული გამოცემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს

ჟურნალი რეფერირდება „ქართულ რეფერატულ ჟურნალში“ (ქრჟ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტექნიფორმი“, www.tech.caucasus.net).

ჟურნალის სრული ვერსია ხელმისაწვდომია კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების საიტზე (www.gscg.ge).

ჟურნალის გამომცემელი

„კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოება“
რედაქცია: 0182 საქართველო, თბილისი თრიალეთის ქ. 50
www.gscg.ge

თბილისი 2021

EDITOR:

PROF. Rema Gvamichava

SCIENTIFIC ADVISOR:

PROF. Konstantin Mardaleishvili

EDITORIAL BOARD:

R. Gvamichava, K. Mardaleishvili, B. Mosidze

EDITORIAL COUNCIL:

I.Abesadze	(Georgia)	J. Aliyev	(Azerbaijan)	G.Hambardzumyan	(Armenia)
G.Burkadze	(Georgia)	Z.Vadachkoria	(Georgia)	D.Zaridze	(Russia)
F.Todua	(Georgia)	D.Tabagari	(Georgia)	B. Surguladze	(Canada)
V.Kutchava	(Georgia)	A. Aliyev	(Azerbaijan)	M.Shavdia	(Georgia)
N.Sharikadze	(Georgia)	A.Shengelaia	(Georgia)	T.Charkviani	(Georgia)
G.Tsikhiseli	(Georgia)	M. Harrison	(USA)		

The journal “Clinical Oncology” is in line with the guidelines issued by the dissertation committee of Tbilisi State Medical University on publications recommended by issuance of the dissertation thesis.

The journal is reviewed in “Journal of Georgian Essays” (JGE), Institute of Georgian Technical University, “Techinform”, www.tech.caucasus.net

Editorial office: 50 Trialeti St., Tbilisi, Georgia 0182

www.gsco.ge

Tbilisi 2021

წინასიტყვაობა

2020 წლის 19 მაისს ამერიკის კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოებამ (ASCO) გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში: რჩევები კიბოს მკურნალობის შესახებ COVID-19 პანდემიის პირობებში. ეს დოკუმენტი წარმოადგენს რეკომენდაციების ნაკრებს პრაქტიკოსი ონკოლოგებისათვის და ეხება იმ გადაუდებელ და მოკლევადიან ნაბიჯებს, რომელიც უნდა გადაიდგას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაციენტებისა და ჯანდაცვის მუშაკების უსაფრთხოება მანამ, სანამ არ აღდგება რუტინული სამკურნალო ღონისძიებები COVID-19-ით გამონეყვლი ჯანმრთელობის სისტემის კრიზისის პირობებში. მემოთაღნიშნული ანგარიში დღემდე ხელმისაწვდომი იყო 7 ენაზე. პრობლემის აქტუალობის გათვალისწინებით „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“ პატივი აქვს წარმოგიდგინოთ დოკუმენტის ქართულ ვერსია.

დღეს, როცა მთელს მსოფლიოში ეტაპობრივად მიმდინარეობს პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქება, გასათვალისწინებელია ზომები, რომელთა ამოქმედებით უზრუნველყოფილი იქნება პაციენტების ხელმისაწვდომობა დიაგნოსტიკაზე, მკურნალობაზე და სხვა სამედიცინო მომსახურებაზე. ამავე დროს COVID-19 პანდემიამ აიძულა პრაქტიკოსი ონკოლოგები გაეტარებინათ ქმედითი ცვლილებები რათა დაეცვათ პაციენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოება, გაეთვალისწინებინათ რესურსების სიმწირე და სახელმწიფოს მიერ შემოღებული შეზღუდვები.

ASCO-ს ანგარიში თავს უყრის შესაბამის მაგალითებს ჯანდაცვის პოლიტიკის და პრაქტიკული ონკოლოგიური სამედიცინო საქმიანობიდან, ასევე რეკომენდაციებს ჯანდაცვის სამთავრობო სტრუქტურებიდან და სამედიცინო დარგობრივი საზოგადოებებიდან.

„კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარე
თ.ს.ს.უ. ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი
ევროპის ონკოლოგიის აკადემიის წევრი
პროფესორი რემა ღვამიჩავა.

კონსულტანტი: ზოგადი პროფილის ექიმი / ეპიდემიოლოგი სოფიო ქუთათელიძე



წარმოდგენილი ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა განხორციელდა
„დე დებორატუა სერვიეს“ საქართველოს წარმომადგენლობის გრანტის ფარგლებში.

სარჩევი

შესავალი	4
ტრიაჟი/სკრინინგი	9
გამოკვლევის სტადიაში მყოფი COVID -19 დადებითი სტატუსის მქონე პაციენტები	11
COVID-19 ის დიაგნოსტიკური ტესტირება	12
ინფექციის პრევენციის კონტროლი	15
თანამშრომელთა შტატი	16
რესურსი და მასალები	19
მოსაზრებები დაწესებულების შესახებ	19
მომსახურება და სამუშაო საათები	20
სამუშაოს დაგეგმვა COVID-19 „ტაღის“ პირობებში	20
სანიტარული კონტროლის პროტოკოლები	21
მხარდაჭერის სამსახურები	21
პაციენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ტექნიკის სწავლება	22
ტელემედიცინა	23
სამედიცინო ონკოლოგია	25
რადიაციური ონკოლოგია	26
დამხმარე სერვისები	27
ავთვისებიანი ახადწარმონაქმნების სკრინინგი	27
ქირურგიული ჩარევა	27
კლინიკური კვლევები	28
კოვიდ 19 ამბუდატორიული ინფუზიური მკურნალობა	29
სხვა სასარგებლო წყაროები	32
მაღლიერების გამოხატვა	33



AMERICAN SOCIETY OF CLINICAL ONCOLOGY

ამერიკის კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოება

ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო დახმარების სახელმძღვანელო COVID-19 პანდემიის პირობებში

AMERICAN SOCIETY OF CLINICAL ONCOLOGY: სპეციალური ანბანი

განახლებულია: 29 ივლისი 2021

განახლებული ვერსია

29, ივლისი 2021 წელი

- კოვიდ-19-ის ვაქცინაცია: ამერიკის კლინიკური ონკოლოგიის ასოციაცია შეუერთდა ჯანდაცვის 50-ზე მეტ დარგობრივ საზოგადოებას და ორგანიზაციას და მხარს უჭერს ჯანდაცვის მუშაკების ვაქცინაციის აუცილებლობას.
- კოვიდ-19-ის მკურნალობა: 2021 წლის 16 აპრილს ამერიკის საკვებისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) გააუქმა bamlanivimab-ის გადაუდებელი გამოყენების ნებართვა რომელიც გამოიყენებოდა კოვიდ-19 საშუალო და სუსტი სიმპტომების სამკურნალოდ როგორც დამოუკიდებელი საშუალება. bamlanivimab-ის დამოუკიდებლად გამოყენება მითითებული რეკომენდაციიდან ამოღებულია.
- შენიშვნა: ბოლო პერიოდში შეიცვალა რეკომენდაციები პირბადის ტარებასა და სოციალური დისტანციის დაცვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ დოკუმენტში შენარჩუნებულია რეკომენდაციები პირბადის და სხვა დამხმარე მეთოდების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე ინფექციის პრევენციისა და გავრცელების კონტროლის მიზნით. ეს მეთოდები უნდა გაფართოვდეს ან შემცირდეს ონკოლოგიური ცენტრების მიერ ადგილობრივი კოვიდ-19 რისკების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შესავალი:

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მთელს მსოფლიოში თანდათანობით ხდება პანდემიასთან დაკავშირებული შემთხვევების შემსუბუქება, ამერიკის კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოებამ (American Society of Clinical Oncology) თავისი წევრებისაგან მიიღო დაკვეთა ჩამოყვადილებინა რეკომენდაციები იმ მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ რომლებიც უნდა განხორციელდეს სამედიცინო დაწესებულებებში რათა გაგრძელდეს მათი უსაფრთხო ფუნქციონირება და აღდგეს რიგი პროცედურები. American Society of Clinical Oncology სპეციალური ანგარიში: რჩევები კიბოს მართვის შესახებ COVID-19 პანდემიის პირობებში, რომელიც აღწერს გადაუდებელ და მოკლევადიან ნაბიჯებს პაციენტების და სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პანდემიის პირობებში. პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს ონკოლოგიური დაწესებულების ფუნქციონირების პრაქტიკული ასპექტები, ასევე სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციები და რეკომენდაციები. American Society of Clinical Oncology -ს კლინიკურმა ექსპერტებმა განიხილეს ონკოლოგიური დაწესებულებების მიერ მიღებული ან დაგეგმილი პრინციპების და პრაქტიკის ფართო სპექტრი და აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურების და სხვა სამედიცინო საზოგადოებების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ინფორმაცია დაეხმარება პრაქტიკოს ონკოლოგებს მეტი დამატებითობით განსაზღვრონ როდის და როგორ განაახლონ მათი ჩვეული პრაქტიკა პანდემიის აღნიშნულ ეტაპზე. აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს მტკიცებულებათა სისტემატურ მიმოხილვას და არ იძლევა ცალკეული პაციენტების მართვის კლინიკურ სახელმძღვანელო პრინციპებს. ეს დოკუმენტი წარმოადგენს დამატებას და არ ცვლის უკვე არსებულ ინსტიტუციონალურ გეგმებსა და რეკომენდაციებს და არ შეიცავს კლინიკურ სამართლებრივ და სამედიცინო რჩევებს. აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს American Society of Clinical Oncology-ს წევრების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და პროფესიული ორგანიზაციებისაგან მიღებული გამოქვეყნებული ინფორმაციის და კლინიკური მაგალითების მიმოხილვას.

American Society of Clinical Oncology-მ წარმოადგინა ანგარიშის შემუშავებისას გამოიყენა შემდეგი მიდგომები:

- American Society of Clinical Oncology-ს პერსონალმა მიიღო რეკომენდაციები და პროცედურების შესაბამისი მაგალითები შემდეგი სტრუქტურებისაგან: ASCO-ს კლინიკური პრაქტიკის კომიტეტი, COVID-19 დაკავშირებული კლინიკურ საკითხების მრჩეველთა ჯგუფი, და American Society of Clinical Oncology-ONS ვებინარის სპიკერები.
- თითოეული თემატური მიმართულებისათვის American Society of Clinical Oncology თანამშრომლები იყენებდნენ მიღებულ ინფორმაციას რათა შეეჯამებინათ არსებული ხელმისაწვდომი ინფორმაცია შესაბამისი წესების და პროცედურების ჩამოყვადილების მიზნით.
- ანგარიშის სრული ვერსია განხილული იქნა American Society of Clinical Oncology-ის კლინიკური პრაქტიკის კომიტეტზე და დამტკიცებულ იქნა American Society of Clinical Oncology-ს მთავარი სამედიცინო ოფიცერისა და აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის მიერ.

წარმოადგინდ დოკუმენტთან ნებისმიერ კითხვასთან დაკავშირებით გთხოვთ მიმართოთ American Society of Clinical Oncology-ის კლინიკური საკითხების განყოფილებას: clinicalaffairs@asco.org.

დათქმა

აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია American Society of Clinical Oncology, Inc. («ASCO»)-ის მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმაციული გამოყენებისათვის სამედიცინო სერვისის მიმწოდებლების მიერ ახალი კორონავირუსის სწრაფი გავრცელების კრიზისის დროს. აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოადგენს სამედიცინო ან სამართლებრივი ხასიათის რეკომენდაციებს, არ არის გათვადისწინებული ცალკეული დაავადებების დიაგნოსტიკისა ან მკურნალობისათვის, არ წარმოადგენს პრეპარატების ან მკურნალობის მეთოდების რეკომენდაციას, არ უწევს რეკომენდაციას მკურნალობის სპეციფიურ კურსს და ასევე არ წარმოადგენს განაცხადს მკურნალობის სტანდარტზე.

შესაძლოა გამოვლინდეს ახალი მტკიცებულებები ინფორმაციის დამუშავების მომენტიდან მის პუბლიკაციამდე ან წაკითხვამდე. შესაძლოა ჭანდაცვის სამსახურებიდან მაგ. NCDC-დან გავრცელდეს ახალი რეკომენდაციები უფრო ხშირად ვიდრე განახლდება ეს დოკუმენტი. ეს ინფორმაცია არ არის გამომწერი ცალკეული პაციენტის მკურნალობის პროცესში მკურნალი ექიმის დამოუკიდებელი პროფესიული შეფასების ჩასანაცვლებლად. American Society of Clinical Oncology განვლით ამ ინფორმაციას „როგორც არის“ და არ იძლევა არანაირ პირდაპირ და ნაგულისხმევ გარანტიას წარმოდგენილ ინფორმაციაზე. American Society of Clinical Oncology კონკრეტულად უარს აცხადებს კომერციული ღირებულების, ან გარკვეული გამოყენების ან მიზნის ვარგისიანობისათვის ნებისმიერ გარანტიაზე.

American Society of Clinical Oncology არ იღებს ვადებულებას წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებულ პიროვნების ზიანსა ან ქონების ზარალზე.

ტრიაჟი / სკრინინგი

პაციენტის მოსვლამდე

ვიზიტის დაგეგმვისას მიაწოდეთ პაციენტს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ვიზიტი უნდა გადაიდოს თუ ქვემოთ მოყვანილი მიზეზებიდან აღმოჩენილ იქნება ერთი მაინც:

- თუ პაციენტს დანიშნული ვიზიტის დღეს აღენიშნება რესპირატორული ინფექციის სიმპტომები (მაგალითად ხველება, ქოშინი, სიცხიანობა, შემიცვლება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს ან სუნის შეგრძნების გაქრობის პირველი ეპიზოდი, და სხვა გრიპოზური სიმპტომები), ვიზიტი გადატანილ უნდა იყოს სხვა დროისთვის. გაათვინიერეთ პაციენტები, რომ სამედიცინო დაწესებულებაში დანიშნულ ვიზიტზე წასვლის წინ მათ უნდა დარეკონ სამედიცინო დაწესებულებაში.
- თუ პაციენტს ვიზიტამდე 10 დღის წინა დროის პერიოდში აღენიშნება კოვიდ-19 სიმპტომები.
- თუ პაციენტს ვიზიტამდე 10 დღის წინა დროის პერიოდში დაუდგინდა კოვიდ-19.
- თუ პაციენტს ვიზიტამდე 14 დღის წინა დროის პერიოდში ჰქონდა კონტაქტი კოვიდ-19 დადასტურებულ დადებით ან დადებითზე საეჭვო პირთან.
- აცნობეთ პაციენტებს, რომ დაწესებულებაში შესვლის წინ მათ უნდა გაიკეთონ და ატარონ მთელი ვიზიტის პერიოდში პირბადე სიმპტომების არსებობის ან არ არსებობის მიუხედავად.
- დანიშნულ ვიზიტამდე 48-72 საათით ადრე დაუკავშირდით პაციენტს სიმპტომების (ხველება, ქოშინი, სიცხიანობა, შემიცვლება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს ან სუნის შეგრძნების გაქრობა და სხვა გრიპოზური სიმპტომები) სკრინინგის მიზნით. აღნიშნული სიმპტომების არსებობისას აუცილებელია ტრიაჟის პროტოკოლების გამოყენება პაციენტის ექიმთან ვიზიტის აუცილებლობის ან მისი ბინაზე მართვის საკითხის გადასაწყვეტად.
- პაციენტის ბინაზე მკურნალობის შესაძლებლობის შემთხვევაში, მას უნდა აუხსნათ, რომ თუ სიმპტომების ინტენსივობა მატულობს ან არ ქრება 14 დღეში ის უნდა დაუკავშირდეს მის ძირითად მკურნალ ექიმს. ამ შემთხვევაში პაციენტის ვიზიტი უნდა გადაიდოს იმ დროისთვის როცა გადაწყდება რომ ის აღარ არის ინფიცირებული.
- კიბოს მკურნალობასთან დაკავშირებული სიმპტომების ან COVID-19 დადებითი სტატუსის შესაფასებლად შესაძლოა საჭირო გახდეს პაციენტის პირადი ვიზიტი ან ტელემედიცინის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ გადაუდებელ განყოფილებაში მოსვლა COVID-19 სტატუსის და/ან ნეიტროპენიის ცხედების დასადგენად.
- პირები, რომლებიც ცხოვრობენ ხანგრძლივი მოვლის, ან სხვა მასობრივ საცხოვრებელ დაწესებულებებში (საპათიუმოების და თავშესაფრების ჩათვლით), უნდა მივაკუთვნოთ მაღალი რისკის ჯგუფს, განსაკუთრებით თუ პაციენტი ცხოვრობს COVID-19 პოზიტიური შედეგის დოკუმენტურად დადასტურებულ შენობას ან ზონაში.

პაციენტის მოსვლის შემდგომ

- შეძლებისდაგვარად შეზღუდეთ შენობაში მოხვედრა ერთი შესასვლელით. რამდენიმე შესასვლელის შემთხვევაში თითოეულ მათგანთან უნდა ჩატარდეს სკრინინგი. თავმდგმურების შემოსვლა უნდა იყოს მაქსიმალურად შეზღუდული და უნდა შემოიფარგლოს იმ შემთხვევებით როცა ეს განპირობებულია პაციენტის სპეციალური საჭიროებით. მაგალითად შეზღუდული გონებრივი განვითარება ან სხვა კოგნიტური ან ფიზიკური დარღვევები. 18 წელზე ნაკლები ასაკის თავმდგმური არ უნდა იყოს დაშვებული. დაწესებულებაში არ დაიშვებიან მეორეხარისხოვანი სერვისის მიმწოდებლები.
- განხილულ უნდა იყოს ვირტუალური ან დისტანციური კომუნიკაციის პრაქტიკა ბიზნეს პარტნიორებთან და დამხმარე სერვისის მიმწოდებლებთან.

- სამედიცინო დაწესებულებაში შემსველელთათვის შენობის გარეთ უნდა მოეწყოს ტრიაჟის პუნქტი.
- სოციალური და ფიზიკური დისტანციის 6 ფუტი (2 მეტრი) დაცვით პაციენტების და მნახველების COVID-19 სიმპტომების და ცხედების სკრინინგის მიზნით. მოსვლისთანავე ყველა პაციენტმა უნდა ატაროს პირბადე და მკაცრად დაიცვას ხელის დაბანის პროტოკოლი.
- COVID-19 დადებითი უსიმპტომო პაციენტებიდან ინფექციის გავრცელების პროფილაქტიკის მიზნით დაანესეთ შენობაში მყოფი ყველა ადამიანისათვის პირბადის ტარების აუცილებლობის მოთხოვნა.
- კორონავირუსის სიმპტომები გამოვლინდება ინფიცირებიდან 2-14 დღის შემდგომ. სიმპტომები მოიცავს: ხველება, ქოშინი, ცხელება, შემცივნება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვის პირველი შემთხვევა და გრიპის მსგავსი სხვა სიმპტომები.
- ინფექციის გავრცელების პროფილაქტიკის მიზნით COVID-19 სკრინინგის კითხვარი, სიმპტომების თვალსაჩინოებები და ჰიგიენის დაცვის სასწავლო საიდუსტრაციო მასალა განათავსეთ პაციენტებისა და მნახველებისათვის თვალსაჩინო ადგილას.
- პაციენტის სკრინინგის სტატუსი და COVID დადებითი სტატუსი დადოკუმენტირებული უნდა იყოს პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში შემოსვლამდე (მაგალითად ელექტრონულ სამედიცინო დოკუმენტში, პაციენტის საიდენტიფიკაციო სამაჯურზე სკრინინგის თარიღის მითითებით).

დამატებითი რესურსი:

COVID -19 პროფილაქტიკაში ჩართული დაავადება კონტროლის და პროფილაქტიკის ცენტრების პოსტერი (Centers for Disease Control and Prevention, CDC)

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/communication/graphics.html>

CDC -ის მომზადებული COVID-19 სიმპტომების საიდუსტრაციო პოსტერი

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/downloads/COVID19-symptoms.pdf>

სამედიცინო დაწესებულებები: მზადება კონტაქტურ ინფიცირებასთან

https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/guidance-hcf.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2F2019-ncov%2Fhealthcare-facilities%2Fguidance-hcf.html

კორონავირუსის სიმპტომები

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/symptoms-testing/symptoms.html>

სკრინინგის სამუშაო პროცესის და საკონტროლო ჩამონათვადის ილუსტრაცია:

სკრინინგის სამუშაო პროცესი

<https://practice.asco.org/sites/default/files/drupalfiles/2020-05/COVID-19%20diagram%20updated.pdf>

სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვადის მაგალითი

https://practice.asco.org/sites/default/files/drupalfiles/2020-05/COVID%20-%2019%20Checklist_v3.pdf

გამოვლენის სტადიაში მყოფი COVID -19 დადებითი სტატუსის მქონე პაციენტები

კვლევაში მყოფი პაციენტი (კ.მ.პ.)

- კ.მ.პ.-ის სკრინინგის დროს დადებითი სტატუსის აღმოჩენის შემთხვევაში დაწესებულების პერსონალმა უნდა გაააქტიუროს COVID დადებითი შემთხვევის მართვის და კონტროლის პროტოკოლი შესაბამის სტრუქტურებში ინფექციური შემთხვევის შეტყობინების ჩათვლით.
- კ.მ.პ.-მა კლინიკაში მოსვლის შემდგომ უნდა ატარონ პირბადე და მოთავსდნენ სპეციალურად გამოყოფილ იზოლირებულ ოთახში/ზონაში. ექიმმა ონკოლოგმა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს შესაბამისი სამედიცინო დახმარების /სერვისის ჩატარების საკითხი.
- ის პაციენტები, რომელთაც COVID სიმტომებიდან აღენიშნებათ მხოლოდ ცხელება უნდა ჩაიტარონ გამოვლენა COVID ტესტთან შესაბამისობის თაობაზე. პაციენტების შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საფუძველზე სხვა პოტენციური ინფექციების ან „სიმსივნური ცხელების“ გამოვლენის მიზნით.
- ვირუსის არსებობის დასადგენად ტესტის შეკვეთისას კიბოს მკურნალობა უნდა გადავადდეს ტესტის პასუხის მიღებამდე. დადებითი პასუხის შემთხვევაში ონკოლოგი განსამზღვრავს მკურნალობის შემდგომ ტაქტიკას პაციენტთან კონსულტაციის შემდგომ.

ინფუზიის ჩატარების კრიტერიუმი COVID დადებითი პაციენტის შემთხვევაში

- COVID -19 დადებითი პაციენტების ამბულატორიული მკურნალობა უნდა გადაიდოს სიმპტომების გამოვლენიდან ან ტესტის პოზიტიური დასკვნიდან მინიმუმ 10 დღით. რიგ პაციენტებს მძიმე შემთხვევებში შესაძლოა დაჭირდეთ გახანგრძლივებული იზოლაცია.
- ინფუზიის ჩატარებამდე პაციენტს უნდა აღენიშნებოდეს სიმპტომების გაუმჯობესება და მინიმუმ 24 საათის განმავლობაში არ უნდა ქონდეს ცხელება სიცხის დამწვევი საშუალებების მიღების გარეშე.
- იმუნოკომპრომიტირებულმა პაციენტებმა შეიძლება გააგრძელონ იზოლაცია ინფიცირებიდან 30 დღემდე. სამედიცინო მომსახურების გადავადების შემდგომ უსიმტომო პაციენტებთან ექიმის კაბინეტში მიღებულ უნდა იქნას 2 უარყოფითი პასუხი COVID ტესტზე მინიმუმ 24 საათიანი ინტერვალით. თუ ტესტირება ხელმისაწვდომი არ არის მკურნალობა უნდა გაგრძელდეს ონკოლოგის გადაწყვეტილებით სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის კონტროლის მიღებული პრინციპის გათვალისწინებით.

დამატებითი წყაროები:

COVID-19 ადამიანების იზოლაციის შეწყვეტა სამედიცინო დაწესებულებაში არ ყოფნის დროს.

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/disposition-in-home-patients.html>

ჭან.დაცვის დეპარტამენტში COVID-19 შემთხვევების შეტყობინების ფორმები.

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/php/reporting-pui.html>

COVID-19 ის დიაგნოსტიკური ტესტირება

დღესათვის COVID-19 გამოკვლევის ხელმისაწვდომი ტესტები:

- ვირუსის რნმ ნუკლეინის მჟავების ამპლიფიკაციის ტესტი (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) არსებული SARS-CoV-2. ინფექციის გასაზომად.
- ანტიგენტესტები SARS-CoV-2. სწრაფი აღმოჩენის მიზნით.
- ანტისხეულების ანალიზი (სეროლოგიური). SARS-CoV-2. ანტისხეულების გამოსავლენად.

რ.ნ.მ. ტესტების გამოყენებისას უნდა განხორციელდეს შემდეგი სტრატეგიები. თუ დაწესებულება გადამყვებს გამოიყენოს სწრაფი ანტიგენის ტესტირება სიმპტომურ პაციენტებში, მაშინ ტესტის უარყოფითი პასუხის დროს საჭიროა რ.ნ.მ. ტესტის კვლავ გამეორება

შენიშვნა: CDC-ის მიხედვით, პაციენტები კოვიდის გადატანის შემდგომ შესაძლოა დარჩნენ პოზიტიურები 3 თვე. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს პაციენტის შემდგომი გამოკვლევა სიმპტომების გამომწვევი მიზეზების შეფასების მიზნით.

პაციენტების ოპერატიული ტესტირების წესი დამოკიდებულია დაბორატორიის შესაძლებლობებსა და ტესტირების ხელმისაწვდომ რესურსებზე. რეკომენდირებული პრიორიტეტები მოყვანილია ქვემოთ:

- პრიორიტეტი 1:
 - სიმპტომების მქონე კოსპიტალიზირებული პაციენტები.
 - სიმპტომების მქონე პაციენტები, რომლებიც მოთავსებული არიან ხანგრძლივი ბრუნვის/მოვლის დაწესებულებებში ან მასიური საცხოვრებელში საპატიმროს და თავშესაფარის ჩათვლით.
- პრიორიტეტი 2:
 - COVID-19-ის სიმპტომების მქონე პაციენტები: ხველება, ქოშინი, ცხელება, შემცივნება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვის პირველი ეპიზოდი და გრიპისმაგვარი სხვა სიმპტომები.
- პრიორიტეტი 3:
 - უსიმპტომო მიმდინარეობის პაციენტები იმუნოსუპრესიული თერაპიის დაწყებამდე (მაგალითად ციტოტოქსიური ქიმიოთერაპია, ღეროვანი უჯრედების გადანერგვა, თერაპია ბიოლოგიური პრეპარატებით, უჯრედული იმუნოთერაპია ან კორტიკოსტეროიდების მაღალი დოზები).
 - უსიმპტომო პაციენტები რომელთაც სახელმწიფო გეგმით მინიჭებული აქვთ პრიორიტეტული სტატუსი სხვადასხვა მიზეზის გამო (სანიტარული კონტროლი, ეპიდემიამხედველობა, ან სკრინინგი).

უსიმპტომო ონკოპაციენტების წინასწარი სკრინინგის პროცესი (ტესტირებისათვის საჭირო მასალების ხელმისაწვდომობის და დაბორატორიული შესაძლებლობების მიხედვით)

- ახალ პაციენტებს რომლებსაც უნდა ჩაუტარდეს ციტოტოქსიური ქიმიოთერაპია, ღეროვანი უჯრედების გადასხმა, ხანგრძლივ პერიოდული ბიოლოგიური თერაპია, უჯრედული იმუნოთერაპია ან თერაპია კორტიკოსტეროიდების მაღალი დოზებით, თერაპიის დაწყებამდე 48-72 საათით ადრე უნდა ჩაუტარდეს კვლევა.
- მკურნალობის მიმდინარეობისას ყველა პაციენტმა თერაპიის ყოველი ახალი ციკლის დაწყებამდე 48-72 საათით ადრე უნდა ჩაიტაროს სკრინინგი. სკრინინგი უნდა მოიცავდეს. სიმპტომების გამოსავლენი სტანდარტიზირებული კითხვარის გამოყენებას.

- სკრინინგის შედეგების საფუძველზე ონკოლოგიური პრაქტიკის ექიმებმა კვლევა უნდა ჩაუტარონ ნებისმიერ პაციენტს რომელსაც აღენიშნება ინფექციის გავრცელების პოტენციური რისკი რესპირატორული სიმპტომების სახით ან ჩამოთვლილიდან ორი სიმპტომი (ხველება, ქოშინი, ცხელება, შემცივნება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვის პირველი ეპიზოდი და გრიპისმაგვარი სხვა სიმპტომები).
- შეძლებისდაგვარად ტესტირება უნდა ჩატარდეს არა ონკოლოგიურ დაწესებულების შენობაში. ონკოპაციენტების ზრუნვის კლინიკაში კვლევები უნდა შეიზღუდოს იმ პაციენტებით ვისაც გამოუვლინდა სიმპტომები ან კლინიკაში შემოსვლისას მიეკუთვნენ რისკის ჯგუფს.
- როგორც უკვე აღინიშნა დაწესებულებაში მოსვლის შემდგომ ყველა პაციენტმა უნდა გაიაროს სკრინინგი რათა განისაზღვროს სტატუსის ცვლილება და/ან ტესტირების ან განმეორებითი ტესტირების ჩატარების საკითხი.

ჯანდაცვის მუშაკების ტესტირების წესი:

- პრიორიტეტი 1
 - სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების თანამშრომლები.
- პრიორიტეტი 2
 - ადამიანები COVID-19-ის ინფექციის საგარეულო სიმპტომებით: ხველება, ქოშინი, ცხელება, შემცივნება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვის პირველი შემთხვევა და გრიპის მსგავსი სხვა სიმპტომები.
 - უსიმპტომო პირები რომელთაც სახელმწიფო თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ მინიჭებული აქვთ პრიორიტეტული სამედიცინო მუშაკის სტატუსი, ექიმი კლინიციტები, მათ შორის სანიტარული კონტროლის, ეპიდემიოლოგიის და სკრინინგის თანამშრომლები.
- პრიორიტეტი 3
 - უსიმპტომო პირები რომელთა მიმართ არის ეჭვი ან ინფორმაცია, რომ ისინი იმყოფებოდნენ COVID-19 დადებით გარემოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე.
 - ინფორმაცია COVID-19 დადებით გარემოში ყოფნაზე გულისხმობს დაბორატორიულად დადასტურებული COVID-19 დადებითი სტატუსის პირებთან უშუალო კონტაქტს. საგარეულო ექსპოზიცია (ეჭვის არსებობა) გულისხმობს მჭიდრო გარემოში მუშაობას ან ცხოვრებას.

ტესტირების წესი და პროტოკოლი

- ტესტირების ჩატარება განხილულ უნდა იყოს იმ შემთხვევაში როცა ადგილ აქვს COVID-19 დაბორატორიულად დადასტურებულ დადებითი სტატუსის ან დადებით სტატუსზე საეჭვო პირთან ან პაციენტთან კონტაქტს.
- მაღალი და საშუალო რისკის მქონე სამედიცინო პერსონალი ექვემდებარება აქტიურ მონიტორინგს, რაც გულისხმობს საქმიანობის შემზღვევას ჯანდაცვის ნებისმიერ ობიექტზე ბოლო კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში.
- თუ სამედიცინო პერსონალს განუვითარდა ცხელება (t 100,4 F./38 C.) ან COVID-19 დამახასიათებელი სიმპტომები (ხველება, ქოშინი, ცხელება, შემცივნება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვის პირველი შემთხვევა და გრიპის მსგავსი სხვა სიმპტომები) ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდნენ თვითიზოლაციაში. ამასთან აღნიშნული გარემოება მათ უნდა შეატყობინონ ადგილობრივ ჯანდაცვის ორგანოებს და თავიანთ სამედიცინო დაწესებულებას და ასევე გადამისამართდნენ შესაბამის დაწესებულებაში კოვიდ სტატუსის განსაზღვრის მიზნით.
- დაბალი რისკის მქონე სამედიცინო პერსონალმა უნდა ჩაიტაროს თვითმონიტორინგი გამოყოფილი სპეციალისტის მეთვადყურების ქვეშ პოტენციური კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში.

- დაბალი რისკის სამედიცინო პერსონალი, რომელიც განაცხადებს პოტენციური კონტაქტის თაობაზე და არის ასიმპტომური, არ ექვემდებარება პროფესიული საქმიანობის შეზღუდვას. მათ ევადებათ შეიმონონ ტემპერატურა დღეში 2 ჯერ და ყურადღება მიაქციონ COVID-19 დამახასიათებელი სიმპტომების (ხველება, ქოშინი, ცხელება, შემცივნება, მიაღვია, ყელის ტკივილი, გემოს და სუნის შეგრძნების დაკარგვის პირველი შემთხვევა და გრიპის მსგავსი სხვა სიმპტომები) პოტენციურ განვითარებას.
- მსგავსი პირები სახლის დატოვებამდე და სამსახურში მისვლამდე უნდა დარწმუნდნენ ცხელების და კოვიდ სიმტომების არ არსებობაში. თუ მათ არ აღენიშნება ცხელება და კოვიდ სიმტომები, მათ შეუძლიათ სამსახურში მისვლა. თუ მათ განუვითარდა ცხელება (გაზომილი ტემპერატურა t 100,4 F. /38 C ან აქვთ ცხელების შეგრძნება) ან კოვიდ სიმტომები, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდნენ თვითიზოლაციაში და შეატყობინონ ადგილობრივ ჯანდაცვის ორგანოებს და თავიანთ სამედიცინო დაწესებულებას და ასევე გადამისამართდნენ შესაბამის დაწესებულებაში კოვიდ სტატუსის განსაღვრის მიზნით.
- სამედიცინო დაწესებულებამ სამუშაოს ყოველი ცვლის დაწყებისას უნდა გაითვალისწინოს ყველა თანამშრომლისათვის სიცხის გაზომვის და სიმტომების არსებობის შეფასების შესაძლებლობა.
- სამუშაო ციკლების დაწყების წინ სამედიცინო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ყველა მისი თანამშრომლის COVID-19 ტესტირება თითოეული სამუშაო ცვლის დაწყების წინ.
- კომერციულად წარმოებული ანტისხეულების ტესტები ამოწმებენ SARS-CoV-2 ანტისხეულებს ინდივიდუალურ დონეზე და ხელმისაწვდომია ჯანდაცვის პროვაიდერებისა და კომერციული დაბორატორიების მეშვეობით. CDC აფასებს ამ ტესტების გამოყენების წესს. ანტისხეულების განსაზღვრაზე დაფუძნებული ტესტი არ უნდა იყოს გამოყენებული SARS-CoV-2. აქტიური ინფექციის მქონე პაციენტებში. როგორც წესი SARS-CoV-2 ინფიცირებული ადამიანის ორგანიზმში ანტისხეულები გამოიქვეყნება 1-3 კვირის შემდგომ; თუმცა ზოგიერთ ინდივიდში ანტისხეულების გამოიქვეყნება მეტი დრო ჭირდება.

დამატებითი წყაროები:

კორონავირუსული ინფექციის ტესტირება და შეფასება 2019(COVID-19)
<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-nCoV/hcp/clinical-criteria.html>

ა.შ.შ. სამედიცინო დაწესებულებებში კორონავირუსული COVID-19 (COVID-19) ინფექციის მქონე პაციენტებთან სამედიცინო პერსონალის პოტენციური კონტაქტის დროს რისკების მართვის და რისკის შეფასების შუადღური სახელმძღვანელო.
<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/guidance-risk-assesment-hcp.html>

ა.შ.შ. ინფექციონისტთა საზოგადოების COVID-19 დიაგნოსტიკის რეკომენდაციების საფუძველზე მონოღებულ უსიმპტომო ონკოლოგიური პაციენტების ტესტირების და კითხვარების შეფასების პროცესი
<https://www.idsociety.org/practice-guideline/covid-19-guideline-diagnostics>

COVID-19 სეროლოგიური გამოკვლევა
<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/lab/serology-testing.html>

პაციენტების და სამედიცინო პერსონალის ტესტირება; პროცესის ილუსტრაცია, ჯანდაცვის მუშაკების სამუშაო ადგილზე დაბრუნება:

პაციენტების გამოკვლევა COVID-19

https://practice.asco.org/sites/default/files/drupalfiles/2020-05/COVID_Patient_Testing.pdf

ჯანდაცვის მუშაკების გამოკვლევა COVID-19 HCP

<https://practice.asco.org/sites/default/files/drupalfiles/2020-05/COVID-19%20%20HCP%20testing.pdf>

სამსახურში დაბრუნება და COVID-19 ტესტირება

<https://practice.asco.org/sites/default/files/drupalfiles/2020-05/COVID-19%20%20HCP%20return%20to%20work.pdf>

ინფექციის პრევენციის კონტროლი

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იღს)

- სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნისას ჯანდაცვის მუშაკებმა მუდმივად უნდა ატარონ პირბადე. ხელმისაწვდომობის შემთხვევაში სხვა პირბადეებთან (ქსოვილი და ა.შ.) უპირატესობა ენიჭება სამედიცინო პირბადეს.
- კოვიდ-19 დადასტურებული ან კოვიდ დადებითზე საეჭვო პაციენტის პალატაში შემსვლელი პერსონალის ყველა წევრმა უნდა დაიცვას დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) რეკომენდირებული თავდაცვის სტანდარტული წესები და გამოიყენოს N95 რესპირატორი, ან სამედიცინო პირბადე, ხალათი, სამედიცინო ხელთათმანები და თვალის დაცვის საშუალებები.
- ქსოვილით სახის დაფარვა არ ითვლება ეფექტური იღს -ად და არ უნდა იყოს გამოყენებული კოვიდ-19 დადასტურებული დადებითი ან დადებითზე საეჭვო პაციენტის მკურნალობისას.
- ნებისმიერი ფიზიკური კონტაქტი პერსონალს შორის დაყვანილ უნდა იყოს მინიმუმამდე და შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს დისტანცია 6 ფუტი/2 მეტრი.
- დაწესებულებას უნდა ქონდეს იღს-ით მომარაგების ოპტიმალური განაწესი და ასევე გეგმა პერსონალის იღს-ით მომარაგებისათვის.
- შემლუღელი რესურსების ოპტიმიზაციის ერთ-ერთ საშუალებად სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ რესპირატორების ფილტრების სპეციალური დამუშავების და მეორადი გამოყენების საკითხი.

დამატებითი წყაროები:

რესპირატორების ფილტრების სპეციალური დამუშავება და მეორადი გამოყენება

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/ppe-strategy/decontamination-reuse-respirators.html>

COVID-19 პანდემიის პერიოდში ონკოლოგიის სფეროში მომუშავე სამედიცინო ექთნების საზოგადოების შეადგენი სახელმძღვანელო. (Oncology Nursing Society, ONS) <https://www.ons.org/covid-19-interim-guidelines>

პაციენტების ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების თავდაცვის სტანდარტული საშუალებები.

<https://www.cdc.gov/infectioncontrol/basics/standard-precautions.html>

იღს და მოწყობილობების მოწოდების ოპტიმიზაციის სტრატეგია

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/ppe-strategy/>

თანამშრომელთა შტატი

თანამშრომელთა შტატი

- სამუშაო ცვლის დაწყებამდე ჩაუტარეთ ყველა თანამშრომელს სკრინინგი კოვიდ-19-ს შესაბამისი ცხედების და სიმპტომების გამოსავლენად. დაავადებათა კონტროლის ცენტრი (CDC) თვლის რომ ადამიანს უდგინდება ცხედება როცა სიცხის მაჩვენებელი შეადგენს 100,4°F / 38°C.
- სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად ჯანდაცვის მუშაკებმა რეგულარულად უნდა იკონტროლონ ცხედების და კოვიდ-19 სიმპტომების არსებობა.
 - ჯანდაცვის თანამშრომლებს ჭირდება შეხსენება იმის თაობაზე, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში ისინი უნდა დარჩნენ სახლში. სამსახურში დაბრუნების კრიტერიუმები ~ უნდა ეფუძნებოდეს დამსაქმებლის მოთხოვნებს. თუ ჯანდაცვის მუშაკი არის კოვიდ პოზიტიური მან უნდა გაითვადისწინოს დამსაქმებლის მიერ დაწესებული სამსახურში დაბრუნების ყველა მოთხოვნა.
 - თუ ჯანდაცვის მუშაკს სამსახურში ყოფნის დროს განუვითარდა ცხედება (ტემპერატურა არა ნაკლები 100,4°F / 38°C.) ან კოვიდ-19-ის დამახასიათებელი სიმპტომები, მან არ უნდა მოიხსნას პირბადე, შეატყობილოს თავის მდგომარეობა კურატორს და დატოვოს სამუშაო ადგილი.
- ყოველი შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისში დაწესებულებამ უნდა იზრუნოს ჯანდაცვის მუშაკების კოვიდ-19 ტესტირებაზე.
- გემოქმედების შემცირების მიზნით დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ CDC-ის მიერ მოწოდებული ინფექციის კონტროლის, პროფილაქტიკისა და თავდაცვისათვის რეკომენდირებული სტრატეგიები.
- ჯანდაცვის დაწესებულებებმა უნდა იხედმძღვანელონ CDC-ის მიერ მოწოდებული დროებითი სახელმძღვანელოთი კოვიდ-19 დადასტურებული ან საეჭვო პირების სამსახურში დაბრუნების კრიტერიუმებით.

სამსახურში დაბრუნების კრიტერიუმი მოიცავს:

- სიმპტომზე დაფუძნებული სტრატეგია. სამუშაო ადგილზე არ დაშვება სანამ:
 - არ გავა მინიმუმ 24 საათი გამოჯანმრთელებიდან (განისაზღვრება, როგორც ცხედების არ არსებობა სიცხის დამწვევების მიღების გარეშე და რესპირატორული სიმპტომების გაუმჯობესება /მაგალითად ხველება, ქოშინი/).
 - სიმპტომების გამოვლენიდან გავიდა მინიმუმ 10 დღე.

ტესტირებაზე დაფუძნებული სტრატეგია. სამუშაო ადგილიდან ჩამოშორება შემდეგ პირობებამდე:

- ცხედების არ არსებობა სიცხის დამწვევების მიღების გარეშე რესპირატორული სიმპტომების გაუმჯობესება (მაგ. ხველება, ქოშინი) და კოვიდ-19-ის მოღვევური ანალიზის (ა.შ.შ. CDC-ის მიერ დამტკიცებული) უარყოფითი პასუხი. ან თითოეულ ქვეყანაში SARS-CoV-2 დასადგენი დამტკიცებული ტესტის 24 საათიანი ინტერვალით აღებული 2 ტესტის უარყოფითი პასუხი როცა მასადა აღებულია სასუნთქი გზებიდან.
- კლინიკაში შეამცირეთ დასაქმებულთა რაოდენობა, რიგი თანამშრომლების (დაგვემარების, ბულდერის თანამშრომლები) ბინამე მუშაობის რეჟიმში გადაყვანით.
- ჯანდაცვის დაწესებულებებმა სამუშაო ადგილებზე უნდა დანერგონ სოციალური/ფიზიკური დისტანცია 6 ფუტი (2 მეტრი).
- ონკოლოგიური კონფერენციები და სხვა შეხვედრები გადაიტანეთ ვირტუალურ ფორმატში.
- განსაზღვრეთ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის რაოდენობა პაციენტების მკურნალობის და მოვლისათვის საჭირო თანამშრომლების ჩათვლით.

- განსაზღვრეთ და ცადვე გამოყავით კოვიდ-19 დადებითი სტატუსის მქონე პაციენტების სამკურნალოდ საჭირო თანამშრომლები.
- შეუცვადეთ ფუნქცია და სივრცე დამატებითი რისკ ფაქტორების მქონე ჯანდაცვის მუშაკებს.
- თანამშრომელთა შტატი / პერსონალის სწავლება
 - ორგანიზება გაუწიეთ სანიტარული კონტროლის, პირადი დაცვის საშუალებების შენარჩუნების, მოხმარების, უტილიზაციის და ასევე სუნთქვის აპარატურის გამოყენების სწავლებას.
 - ორგანიზება გაუწიეთ საიზოლაციო სივრცის სწორად გამოყენების და სამედიცინო მონყობილობების დამუშავების სწავლებას.
 - ორგანიზება გაუკეთეთ პოტენციურად ინფექციური ნარჩენების სწორი უტილიზაციის სწავლებას.
 - ჩაატარეთ შენობის და სადიაგნოსტიკო აპარატურის რეგულარული დამუშავება.
- მთელ პერსონალს უნდა მოეთხოვოს ყოველწლიურად გრიპის საწინააღმდეგო და კოვიდ-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება.
- კოვიდ-19 ინფექციის გავრცელების რისკის მინიმიზაციისათვის მგზავრობა პირადი მიზნებისათვის უნდა ეფუძნებოდეს სიფრთხილის მაქსიმალურ მოთხოვნებს:
 - თხოვეთ თანამშრომლებს ყურადღებით დაგვემონ მგზავრობა პირადი მიზნებისათვის.
 - ის თანამშრომლები რომლებიც მიემგზავებიან მათი საცხოვრებელი არეალის გარეთ გარეთ ან კოვიდ ინფექციის მაღალი რისკის ზონაში, დაბრუნებისას საჭიროებენ კარანტინს და ტესტირებას კოვიდ ტესტის უარყოფითი პასუხის მიღებამდე.
- თანამშრომლების ავადმყოფობის შემთხვევაში დაწესებულებამ აქტიურად უნდა ჩართოს კადრების განყოფილება.
- დაწესებულების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კლინიკის ტებს და ონკოპაციენტების მოვლის ჯგუფის წევრებს რომლებიც კოვიდ პანდემიის გამო შესაძლოა განიცდიდნენ მომატებულ სტრესს, რამაც თავის მხრივ შესაძლოა მიგვიყვანოს შემდეგ შედეგებთან:
 - იზოლაცია როგორც ბიოლოგიური უსაფრთხოების მკაცრი ზომა. ოჯახისაგან და მეგობრებისაგან ფიზიკური იზოლაცია.
 - ზრუნვა ოჯახის წევრების, პარტნიორების კოლეგების და საკუთარ ჯანმრთელობაზე.
 - მრავალმხრივი სამედიცინო და პირადი მოთხოვნები; სამსახურეობრივი ტიპური დატვირთვის მოთხოვნები; ოჯახზე ზრუნვის ფუნქციების შეცვლა.
 - შემცირებული ვიზიტების ფონზე პაციენტების მოვლის პრობლემები, პაციენტების და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერა.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის მუშაკების სტრესის მართვა.
 - სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
 - თანამშრომლებთან მათი ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობის და სირთულეების გადადახვის ეფექტური სტრატეგიების განხილვა.
 - კოვიდ-19 სტრესის პირობებში თანამშრომლებისათვის დახმარების ან ფსიქოლოგიური მხარდაჭერის შეთავაზება.
 - გახსოვდეთ თანამშრომლების შესაძლო გადატვირთვის შესაძლებლობა და ის რომ მათ გადატვირთვის გამო შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საკუთარ თავს ან გარემოცვას.

დამატებითი წყაროები:

ონკოლოგიური პაციენტების მოვლის სეგმენტირებული კოდექსის მოდელი კოვიდ-19 აფეთქების დროს სინგაპურის საუნივერსიტეტო ცენტრში.

<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0923753420364103?via%3Dihub>

კოვიდ დადებითი ან საეჭვო სტატუსის მქონე ჯანდაცვის თანამშრომლების სამსახურში დაბრუნების კრიტერიუმები. შუადღური სახელმძღვანელო.

https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/return-to-work.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2F2019-ncov%2Fhealthcare-facilities%2Fhcp-return-work.html

COVID-19 პანდემიის პირობებში ონკოლოგიის სფეროს საშტატო თანამდებობების განაწილების ონკოლოგიის საექთნო საზოგადოების (ONS) რეკომენდაციები.

<https://www.ons.org/oncology-staff-assignments-covid-19>

პაციენტების ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების სტანდარტული თავდაცვის პრინციპები.

<https://www.cdc.gov/infectioncontrol/basics/standard-precautions.html>

ინსტრუმენტები ჯანდაცვის მუშაკების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის:

ამერიკის სამედიცინო საზოგადოება, კოვიდ-19 პანდემიის დროს პაციენტების მომვლელებზე ზრუნვა ([Caring for our Caregivers During COVID-19](#))

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია, რესურსები პანდემიასტაბნ საბრძოლველად ([Resources for Pandemic](#))

კეიტც გომეს და კრასილოვსკი (Cates, Gomes, and Krasilovsky). განსაკუთრებული ბიოლოგიური სიტუაციის მოქმედებების დაგეგმვა. ჯანდაცვის მუშაკების და მათი ოჯახის წევრების ფსიქიური ჯანმრთელობის მხარდაჭერა. ([Bioemergency Planning, Behavioral Health Support for Patients, Families, and Healthcare Workers](#))

წყარო: ა.შ.შ. ვეტერანების საქმეთა სამინისტრო. კოვიდ-19 აფეთქებასთან დაკავშირებული ჯანდაცვის მუშაკების სტრესის მართვა. ([Managing Healthcare Workers' Stress Associated with the COVID-19 Virus Outbreak](#))

ეროვნული აკადემიები (National Academies), ვადებულებები: ჯანდაცვა, კრიზისულ სიტუაციებში სამედიცინო დახმარების სტანდარტები და ახალი კორონავირუსი SARS-CoV-2

([Duty to Plan: Health Care, Crisis Standards of Care, and Novel Coronavirus SARS-CoV-2](#))

რესურსი და მასალები

რესურსი და მასალები

- უზრუნველყავით სამკურნალო პრეპარატების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და დამუშავების საშუალებების საკმარისი მარაგები.
- უზრუნველყავით დაწესებულების უსაფრთხოების კონტროლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სასაწყობო მარაგების ცენტრალიზებული მართვა.
- სამედიცინო დაწესებულებას შემუშავებული უნდა ქონდეს პირადი დაცვის საშუალებების (მაგ. ქსოვილის პირბადეები) სწორად შენახვის და გამოყენების პრინციპები/წესები და მიწოდების ჯაჭვი.

დამატებითი წყაროები:

How to Report a Product Shortage or Supply Issue to FDA

<https://www.fda.gov/vaccines-blood-biologics/safety-availability-biologics/how-report-product-shortage-or-supply-issue-fda>

მოსაზრებები დაწესებულების შესახებ

სოციალური / ფიზიკური დისტანცია კლინიკურ ზონებში

- განიხილეთ საერთო მოხმარების ზონებში 6 ფუტი (2 მეტრი) დისტანციის დაცვა ან მოსაცდელი სივრცეების გაუქმება (მაგ. პაციენტი იცდის პარკირების ზონაში და გამოძახების შემდგომ პირდაპირ მიდის სადიაგნოსტიკო ან სამკურნალო სივრცეში).
- თუ დაწესებულებას არ გააჩნია პარკირების ზონა, შექმენით მსგავსი ან გამავალი ზონა.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსვლელი პაციენტებისათვის შექმენით სპეციალური ადგილი საიდანაძე მათ პერსონალი მიაცილებს სკრინინგის ზონაში.
- დანიშნულ ვიზიტს მოცდის ზონის მაგივრად პაციენტები იწყებენ სკრინინგის ზონაში შესვლით.
- ააღაგეთ საერთო მოხმარების ყველაფერი საგნები და მასალები რომლებთანაც შესაძლოა ქონდეთ კონტაქტი პაციენტებს (აურნალები, პაციენტის საგანმანათლებლო ბროშურები, წყლის, ყავის, ხემსის აპარატები, ბოთლის წყალი).
- პაციენტები უნდა იმყოფებოდნენ დაწესებულების პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ სოციალური/ფიზიკური დისტანციის დაცვით.
- რიგში მდგომი პაციენტები უნდა იცავდნენ 6 ფუტი (2 მეტრი) დისტანციას. შენობაში პაციენტებისათვის უნდა გაკეთდეს დისტანციის აღმნიშვნელი მარკირება იატაკზე. შესაძლოა პაციენტების მოცდის რიგი გაუქმდეს. ამ შემხვევაში პაციენტი იცდის საკუთარ მანქანაში ან შენობის გარეთ.
